



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თავისუფალი თეატრი



თავისუფალი თეატრი

თავისუფალი თეატრი, კერძო თეატრი. გაიხსნა თბილისში 2001 წ. 1 მარტს რეჟ. ა. ვარსიმაშვილის თაოსნობით ჯ. ოსბორნის პიესით „კომედიანტები“(მისივე დადგმა). თეატრს არა აქვს გამოკვეთილი თემატიკა, არა ჰყავს საკუთარი დასი. იგი არის მრავალპლანიანი, თავისუფალი თეატრ. ფორმის. ამ სახელწოდების თეატრი პირველად დააარსა ფრანგმა მსახიობმა და რეჟისორმა ანდრე ანტუანმა (პარიზი, 1887), რითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მსოფლიო თეატრის

ისტორიაში. მსგავსი თეატრები შემდგომში შეიქმნა გერმანიაში (ოტო ბრამის „თავისუფალი თეატრი“, ბერლინი, 1889), რუსეთში (კოტე მარჯანიშვილის თავისუფალი თეატრი, მოსკოვი, 1913) და სხვ. ა. ვარსიმაშვილის თეატრი კერძო საკუთრებაა, მუშაობს ანტრეპრიზის პრინციპით. თ. თ-ის ცნობილი სახეები არიან: გ. ბარბაქაძე, ნ. გომელაური, ს. ნათენაძე, ა. კუბლაშვილი, კ. მიქიაშვილი, ბ. გოგორიშვილი, თ. კორძაძე, ჯ. კილაძე, მ. დობორჯგინიძე, ქ. ლორთქიფანიძე, თ. ნიკოლაძე, ს. მარგალიტაშვილი და სხვ. სხვადასხვა სპექტაკლებში თამაშობდნენ ქართ. თეატრის ცნობილი მსახიობები – გ. საღარაძე, ჯ. ლაღანიძე, თ. დოლიძე, მ. ჯანაშია, ო. მეღვინეთუხუცესი, რ. იოსელიანი, დ. ჯიანი და სხვ. სპექტაკლებს დგამენ (ა. ვარსიმაშვილის გარდა): დ. დოიაშვილი, გ. კაპანაძე, გ. მარგველაშვილი და სხვ. თეატრი გასტროლებს მართავს საზღვარგარეთ (რუსეთი, უკრაინა, ბელარუსი, ლატვია, გერმანია, საბერძნეთი, პოლონეთი, ეგვიპტე, თურქეთი, რუმინეთი). 2001-იდან თეატრმა 50-მდე პრემიერა გამართა, მ. შ. უ. შექსპირის „ჰამლეტი“ (რეჟ. ა. ვარსიმაშვილი), დ. ტურამშვილის „ჯინსების თაობა“ (რეჟ. დ. დოიაშვილი), ა. ვარსიმაშვილის „პროვოკაცია“ (რეჟ. ა. ვარსიმაშვილი), ფ. გარსია ლორკას „სისხლიანი ქორწილი“ (რეჟ. გ. კაპანაძე), ნ. დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ (რეჟ. გ. კაპანაძე), ფ. გარსია ლორკას „ბერნარდა ალბას სახლი“ (რეჟ. გ. კაპანაძე), ა. ვარსიმა-

შვილის „ძმები“ და „იდოკრატია“ (ავტორის რეჟისორობით), ე. დე ფილიპოს
„ანრდილები“ (რეჟ. გ. შალუტაშვილი) და სხვ.
